


ოქტომბერი 2019

2019 წლის ოქტომბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა¹ 138 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 215 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების² საშუალო ფასმა ოქტომბერში 69 ლარი შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ოქტომბერში 456 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 548 ლარი შეადგინა, აჭარაში - 431 ლარი, კახეთში - 390, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 360.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2019 ოქტომბერი, ლარი)



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი³ 2019 წლის ოქტომბერში, 2019 წლის სექტემბერთან შედარებით, 5,9%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 5,9%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 6,2%-ით შემცირდა.

2019 წლის ოქტომბერში, 2018 წლის ოქტომბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5,2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 6,7%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 1,2%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 ოქტ/2019 სექ	2019 ოქტ/2018 ოქტ	2019 ოქტ/2019 სექ	2019 ოქტ/2018 ოქტ	2019 ოქტ/2019 სექ	2019 ოქტ/2018 ოქტ
ქვემო ქართლი	-10.2%	-23.6%	-16.4%	-37.5%	-0.0%	-18.4%
შიდა ქართლი	-4.1%	-0.2%			-4.1%	-0.2%
გურია	-8.0%	15.8%	-10.2%	36.1%	-6.4%	1.2%
მცხეთა-მთიანეთი	-7.3%	6.8%	-4.8%	15.3%	-9.9%	-1.5%
აჭარა	-4.2%	7.7%	-3.6%	7.6%	-4.9%	7.9%
თბილისი	-6.5%	-13.9%	-6.7%	-16.6%	-5.8%	-4.9%
სამცხე-ჯავახეთი	-8.3%	-6.4%	-4.8%	-5.5%	-10.6%	-7.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-9.2%	3.6%	-3.7%	-14.5%	-10.6%	8.9%
იმერეთი	-4.3%	-3.4%	-4.3%	0.9%	-4.3%	-4.8%
კახეთი	-2.4%	2.6%	-1.2%	-3.2%	-2.7%	4.1%
რაჭა	-3.8%	14.2%			-3.8%	14.2%
სულ ფასების % ცვლილება	-5.9%	-5.2%	-5.9%	-6.7%	-6.2%	-1.2%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის ოქტომბერში, 2019 წლის სექტემბრის ფასებთან შედარებით და 2018 წლის ოქტომბრის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო

ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური გაბაკვეთების საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უზევს ოჯახი. 3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.